აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში სულ 1080 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 24 საბავშვო ბაღი, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ “სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზღველო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალიტეტის გაერთიანება”. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 432 თანამშრომელი, ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზღველო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის მიზანია: სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობის უზრუნველყოფა.</p>		
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი	ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შესაფერისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სტანდარტების შესაბამისი გარემო.		

ათასი ლარი



პროგრამის დასახელება:	სკოლების მშენებლობა – რეაბილიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება		კოდი	04 04
დაფინანსება და ვადები	2025 წელი			
	1 811,06			
პროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახური			
პროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	არა	სახელმწიფო ფონდები -	კი
აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260/1 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 056 354 ლარი 2026 წელში მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯების ასანაზღაურებლად. პროგრამა მოიცავს წინა წლებში აღებულ ვადებულელებს რომლებიც ვერ დასრულდა 2025 წელს (პროგრამით გათვალისწინებულია 2025 წელს მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები. საჯარო სკოლების რეაბილიტირების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელება.) მიზანია: მოსწავლეების სასწავლო პროცესის ხელშეწყობა			
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი	სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნა			

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კოდი (05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

ათასი ლარი

		2026 წ	2027 წ	2028 წ	2029 წ
05 00	კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი	9 168,53	6 227,00	6 993,90	7,754,00
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	5 387,98	3 755,00	4 407,90	5 060,00
05 01 01	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში	2 620,68	823,00	1 125,00	1 628,00
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 875,70	2 007,00	2 207,00	2 407,00
05 01 03	საცურაო აუზის მოვლა-პატრონობა	636,00	660,00	700,00	740,00
05 01 04	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	255,60	265,00	275,00	285,00
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3 643,55	2 335,00	2 499,00	2 557,00
05 02 01	მშენებლობა რეაბილიტაცია კულტურის სფეროში	1 827,55	400,00	400,00	400,00



05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	60,00	65,00	70,00	75,00
05 02 03	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა	810,00	860,00	910,00	960,00
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	85,00	95,00	100,00	105,00
05 02 05	კულტურის ცენტრის ხელშეწყობა	376,00	406,00	436,00	460,00
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	67,00	72,00	77,00	82,00
05 02 07	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	95,00	100,00	105,00	110,00
05 02 08	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია	160,00	170,00	180,00	190,00
05 02 09	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	31,00	33,00	35,00	37,00
05 02 10	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,00	100,00	100,00	100,00
05 02 11	ტურიზმის განვითარება	32,00	34,00	36,00	38,00
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	137,00	137,00	137,00	137,00

ათასი ლარი

პროგრამის დასახელება:	სპორტის სფეროს განვითარება			კოდი	05 01
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	5 387,98				
პროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“				
პროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა	
აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამა, ასევე მოიცავს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება/გაუმჯობესებას. ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარებას</p> <p>დაგეგმილია ბრეთის მეურნეობაში სპორტდარბაზის აღჭურვა საჭირო ინვენტარით და ქარელში ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია, მინი სტადიონების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.</p> <p>მიზანი: სპორტული განვითარების ხელმისაწვდომობა და ხელშეწყობა. სპორტით დაკავებული მეტი მოსახლეობა</p>				
კოდი	ქვეპროგრამები	2026 წ	2027 წ	2028 წ	2029 წ
05 01 01	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში	2 620,68	823,00	1 225,90	1 628,00
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 875,70	2 007,00	2 207,00	2 407,00
05 01 03	საცურაო აუზის მოვლა-პატრონობა	636,00	660,00	700,00	740,00
05 01 04	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	255,60	265,00	275,00	285,00
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.				



ქვეპროგრამის დასახელება:	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში	კოდი		05 01 01
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	2 620,68			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის #102 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 7 298 751 ლარი დანართი #53 განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად. დაგეგმილია ბრეთის მეურნეობაში სპორტდარბაზის აღჭურვა საჭირო ინვენტარით და ქარელში ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია, მინი სტადიონების მოწყობა სოფელ კოდაში და სოფელ აბისისთავში, ასევე დაზიანებული საფარის შეცვლა საჭიროებისამებრ და სხვა ღონისძიებები. მიზანია: მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სპორტული ობიექტების აშენება/რეაბილიტაცია და სპორტული ინვენტარით აღჭურვა.			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა.			

ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	კოდი		05 01 02
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	1 875,70			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გამართულად იფუნქციონირებს ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ სხვადასხვა სპორტული აქტივობების ჩასატარებლად. ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობების სწავლებები: ფეხბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის (ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა), კიკბოქსინგის, ჯიუ-ჯიცუს, MMA შერეული ორთაბრძოლების, ხელბურთის, ფრენბურთის მიმართულებით. დაფინანსდება ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში სხვადასხვა ღონისძიებები და ტურნირები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბით. მიზანია: მასობრივი სპორტის სახეობების ხელშეწყობა, მოზარდების ჩართულობა სპორტულ სექციებში. წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების წახალისება. ა(ა)იპ-ის გამართული ფუნქციონირება.			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართული მოსახლეობა, ჩატარებული შეჯიბრებები.			

ქვეპროგრამის დასახელება:	საცურაო აუზის მოვლა პატრონობა	კოდი		05 01 03
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			



ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება საცურაო აუზის მოვლა პატრონობის ხარჯებისა და გადასახადების გადახდა. დაფინანსდება სხვა ღონისძიებები.</p> <p>დაგეგმილია შეჯიბრებების ჩატარება ქვეყნის მასშტაბით</p> <p>მიზანია: მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს საცურაო აუზი და შენობაში არსებული სხვადასხვა სპორტული ინვენტარი.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საცურაო აუზით და სპორტული ინვენტარით მოსარგებლე მოსახლეობა			

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა		კოდი	05 01 04
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	255,60			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას და სხვა ღონისძიებებს.</p> <p>მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საფეხბურთო გუნდის გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა/მოზარდთა ჩართულობა.			

ათასი ლარი

პროგრამის დასახელება:	კულტურის სფეროს განვითარება		კოდი	05 02
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	3 643,55			
პროგრამის განმახორციელებელი:	ეკონომიკური განვითარების სამსახური; ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
პროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
	<p>მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი</p>			



აღწერა და მიზანი	<p>პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახური.</p> <p>განხორციელდება აგარის კულტურის სახლის აღჭურვა საჭირო ინვენტარით და სხვა.</p> <p>მიზანი: კულტურის სფეროს გაუმჯობესება სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და დაფინანსება.</p>				
კოდი	ქვეპროგრამა	2026 წ	2027 წ	2028 წ	2029 წ
05 02 01	მშენებლობა რეაბილიტაცია კულტურის სფეროში	1 827,55	400,00	400,00	400,00
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	60,00	65,00	70,00	75,00
05 02 03	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა	810,00	860,00	910,00	960,00
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	85,00	95,00	100,00	105,00
05 02 05	კულტურის ცენტრის ხელშეწყობა	376,00	406,00	436,00	460,00
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	67,00	72,00	77,00	82,00
05 02 07	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	95,00	100,00	105,00	110,00
05 02 08	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია	160,00	170,00	180,00	190,00
05 02 09	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	31,00	33,00	35,00	37,00
05 02 10	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,00	100,00	100,00	100,00
05 02 11	ტურიზმის განვითარება	32,00	34,00	36,00	38,00
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3 643,55	2 335,00	2 449,00	2 557,00
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა. მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება. რეაბილიტირებული კულტურის სახლი				

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	მშენებლობა-რეაბილიტაცია კულტურის სფეროში			კოდი	05 02 01
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	1 827,55				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური				
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა	
აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის #102 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 7 298 751 ლარი დანართი #53 განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგარის კულტურის სახლის აღჭურვა საჭირო ინვენტარით და სხვა.</p> <p>პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2025 წელს</p> <p>მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა.</p>				



მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწყობილია მოწესრიგებული, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე.
------------------------------	---

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება			კოდი	05 02 02
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	60,00				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“				
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები	არა	
აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია, მოზარდებსა და ახალგაზრდებს ყველანაირად შეეწყოს ხელი, რათა მიიღონ მათთვის საჭირო და აუცილებელი არაფორმალური განათლება, შეძლონ ნიჭის ფართოდ წარმოჩენა, შშმ მოზარდებთან ურთიერთობის დამყარება და მაქსიმალურად ჩაერთონ იმ კულტურულ-შემეცნებით და სამოქალაქო განათლებისკენ მიმართულ აქტივობებში, ასევე სხვა მათთვის სასარგებლო ღონისძიებებში, რომელიც, უპირველესად, მათ განვითარებასა და სამომავლო წინსვლას შეუწყობს ხელს. პროგრამის ფარგლებში გაიმართება კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, სხვადასხვა სახის კონკურსები, მათი ინიციატივების ხელშეწყობისთვის აუცილებელი პროექტები და სხვა. მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა კულტურულ შემოქმედებით პროცესებში;</p> <p>მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების განვითარება, სხვადასხვა კულტურულ – შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება.</p>				
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია და განხორციელებული კულტურული პროექტები.				

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა			კოდი	05 02 03
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	810,00				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“				
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა	
აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სახელოვნებო განათლების მიმართულებით თავის საქმიანობას ახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტში სამი სახელოვნებო სკოლა – ქარელის ხელოვნების სკოლა (ბრეთის მუსიკალური განყოფილებით), ნანული დამბაშიძის სახელოვნების აგარის ხელოვნების სკოლა და რუხის ხელოვნების სკოლა. ხელოვნების სკოლებში სულ დასაქმებულია 71 თანამშრომელი, ხელოვნების სკოლებში ბავშვთა რაოდენობა 676-მდე მოსწავლეს შეადგენს; წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ აღნიშნული სკოლების მოსწავლეები. ხელოვნების სკოლებში ბავშვები სწავლობენ კლასიკურ და ხალხურ მუსიკას; ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას; სოლფეჯიოს, მუს-ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნების ისტორიას. მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, აგრეთვე ადგილობრივ და სხვა ღონისძიებებში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში იგეგმება სოფ. ბრეთი ხელოვნების სკოლის გახსნა.</p> <p>მიზანია: ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ახალგაზრდების დაინტერესება სხვადასხვა წრეებით, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მიერ ჩატარებული ღონისძიებები.</p>				
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოზარდებში მუსიკალური და სახელოვნებო განათლების მიღება და ხელშეწყობა.				



ქვეპროგრამის დასახელება:	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა		კოდი	05 02 04
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	85,00			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>ქარელის ცენტრალური ბიბლიოთეკა ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ერთ-ერთი განყოფილებაა, ბიბლიოთეკა ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს.</p> <p>წლის განმავლობაში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები: ერთად კითხვის საღამოები, ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. განახლება წიგნადი ფონდი და მოეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები წიგნის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.</p> <p>მიზანია: მკითხველების წიგნებით უზრუნველყოფა და დაინტერესება. წიგნადი ფონდის განახლება.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი და წიგნის პოპულარიზაციის ზრდა.			

ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურის ცენტრის ხელშეწყობა		კოდი	
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	376,00			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	
აღწერა და მიზანი	<p>კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას განხორციელებს სხვადასხვა წრეების და შემოქმედებითი ჯგუფების საშუალებით; ქარელის მუნიციპალიტეტში ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს: მამაკაცთა ანსამბლი „ქარელი“ – 15 მამაკაცის შემადგენლობით, ხალხური საკრავების წრე (დოლი), ხალხური საკრავების წრე (ფანდური, სალამური), ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის შემსწავლელი წრეები, ბავშვთა დრამატული წრე, თოჯინების თეატრი, სამეჯლისო ცეკვები, ქორეოგრაფიული ანსამბლები „იბერიელები“ და „ქარელი“, დრამატული წრე, მოყვარულთა თეატრი, რომლის მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ თავად კულტურის სახლის შემოქმედებითი ჯგუფები. კულტურის ცენტრში შემოქმედებით სახელოვნებო განათლებას ღებულობს და მიიღებს 960 – ზე მეტი მოსწავლე.</p> <p>წრეები და გუნდები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ, რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში.</p> <p>მიზანია: მრავალფეროვანი შემოქმედებითი წრეების შეთავაზებით მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა. მონაწილეობის მიღება მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებით ფესტივალებში და ღონისძიებებში.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრებით დაინტერესებული მოსახლეობა. კულტურის სახლების მიერ სრულიად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.			



ქვეპროგრამის დასახელება:	მუზეუმების ხელშეწყობა		კოდი	05 02 06
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	67,00			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, რომელშიც დაცულია 3215 ექსპონატი. იგი იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, დასაქმებულია 8 თანამშრომელი. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 605 ერთეულს.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნება ინვენტარი და ტექნიკა საკონფერენციო დარბაზისათვის (მაგიდა, სკამები, კომპიუტერები, პროექტორი, პროექტორის ფარდა, წყლის დისპენსერი), მოეწყობა სტელაჟები და თაროები ექსპონატებისათვის, მოღებრტები საგამოფენო სივრცისათვის, მოეწყობა ჩვენებები, შემოქმედებითი სადამოებო, ისტორიის ვიქტორინები, კონფერენციები, წიგნის მკითხველთა კლუბი, და სხვა ღონისძიებები. მოხდება ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებსა და ზოგადად თვითმმართველობის ცხოვრებაში.</p> <p>მიზანია: მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობა, მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა. არსებული ექსპონატების დაცვა და ახლად აღმოჩენილი ექსპონატებით შევსება.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და მოსახლეობის დაინტერესების ზრდა.			

ქვეპროგრამის დასახელება:	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა		კოდი	05 02 07
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	95,00			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მამაკაცთა ფოლკლორული გუნდი – „ქარელი“- 15 მამაკაცის შემადგენლობით, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში და სხვა ღონისძიებებში, რითაც პოპულარიზაციას უკეთებს ქართულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერას ქარელის მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.</p> <p>მიზანია: არსებული ანსამბლის ფუნქციონირების ხელშეწყობა. ქართული ხალხური მრავალხმიან სიმღერების პოპულარიზაცია.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია.			

ქვეპროგრამის	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების		
--------------	--	--	--



დასახელება:	გაერთიანების ადმინისტრაცია		კოდი	05 02 08
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	160,00			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ ადმინისტრაცია შედგება 8 თანამშრომლისგან, რომლების მართავენ და ორგანიზებას უწევენ გაერთიანებაში შემავალი განყოფილებების (აგარა, სოფელი რუისი, სოფელი ბრეთი და ქარელი) საქმიანობას და მათ ფუნქციონირებას. გაერთიანებას გამართულად ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება დასაქმებულთა შრომის, ოფისისა და სხვა მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება, რომელთა დაფარვა მოხდება ასიგნებების ფარგლებში.</p> <p>მიზანია: ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ განყოფილებების საქმიანობის ორგანიზება, მართვა.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირება.			

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა		კოდი	05 02 09
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	31,00			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით დასაქმებულია 3 თანამშრომელი და წლის განმავლობაში გამოიცემა მუნიციპალური გამოცემა „ქარელის მოამბის“ 18 000 ეგზემპლარი. აღნიშულ გაზეთში შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური და სხვა სიახლეები, ასევე მოსახლეობის პრობლემები და მიღებული სამართლებრივი აქტები. ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საგამომცემლო საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და სხვა ღონისძიებებში.</p> <p>მიზანია: მოსახლეობის ინფორმირებულობა, დაინტერესების ზრდა, ცნობადობის ამაღლება და ჩართულობის გაზრდა.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინფორმირებული და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული მოსახლეობა.			

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა		კოდი	05 02 10
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	100,0			
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			



განმახორციელებელი:				
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რელიგიური ორგანიზაციების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარება, რითაც ხელი შეეწყობა რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას და სხვა ღონისძიებებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში.</p> <p>მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის, ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრими ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.			

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	ტურიზმის განვითარება		კოდი	05 02 11
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	32,00			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები	არა
აღწერა და მიზანი	<p>ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიერ ტურისტებისთვის შეთავაზებული პროდუქტი იქნება: ინფორმირება მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული დანიშნულების ობიექტების შესახებ, როგორცაა: განთავსებისა და კვების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის განრიგი, მუზეუმები, გალერეები, ღვინის საწარმოები, ღვინის მარნები, ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ადგილების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საკურორტო ადგილებისა და სხვათა შესახებ, ტურისტების ინტერესებიდან გამომდინარე, ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ტურის დაგეგმვაში დახმარება, ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და ფესტივალების შესახებ (ეროვნული, კულტურული, გასართობი, სპორტული და სხვა); ბეჭდვითი მასალის გავრცელება (რეგიონისა და ქალაქის რუკები, ბროშურები, გზამკვლევები და სხვა) და სხვა ღონისძიებები.</p> <p>მიზანია: მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, განვითარება და პოპულარიზაცია.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია ადგილობრივი ტურიზმის განვითარება და შექმნილია პირობები, როგორც ადგილობრივი - ასევე უცხოელი ტურისტების მოსაზიდად.			

ათასი ლარი

პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	კოდი	05 03
დაფინანსება და ვადები	2026 წელი		
	137,00		
პროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“		
პროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას
	მუნიციპალიტეტის		სახელმწიფო



დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი -	კი	ფონდები -	არა	
აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ახალგაზრდული ინიციატივების, ინოვაციური იდეების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია შშმ პირებს მონახულება, მათი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში.</p> <p>პროგრამის მიზანია: ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში, მათი უნარების რეალიზაცია და საქმიანობის სტიმულირება.</p>				
კოდი	ქვეპროგრამა	2026 წ	2027წ	2028წ	2029 წ
05 03 01	ჯანო ბაგრატიონის სახელობის ფესტივალი (ცეკვაში)	1,00	1,00	1,00	1,00
05 03 02	დედაენის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება	0,15	0,15	0,15	0,15
05 03 03	ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება	5,00	5,00	5,00	5,00
05 03 04	მუნიციპალიტეტის საქართველოს ისტორიის მცოდნე წლის საუკეთესო მოსწავლეების გამოვლენა და დაჯილდოება	0,18	0,18	0,18	0,18
05 03 05	ქარელის დღე	50,0	50,0	50,0	50,0
05 03 06	ახალგაზრდები სისუფთავის საგუშაგოზე	0,50	0,50	0,50	0,50
05 03 07	მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალებში	25,0	25,0	25,0	25,0
05 03 08	ახალგაზრდული დღეები	0,50	0,50	0,50	0,50
05 03 09	ფოლკლორის საღამო	0,50	0,50	0,50	0,50
05 03 10	ქართული ხალხური ზღაპრების კონკურსი	0,40	0,40	0,40	0,40
05 03 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მონახულება	0,60	0,60	0,60	0,60
05 03 12	სასკოლო ოლიმპიადა	3,00	3,00	3,00	3,00



05 03 13	დედამიწის დღე	0,50	0,50	0,50	0,50
05 03 14	2026 წელს 100 პროცენტის დაფინანსებით ჩარიცხული სტუდენტების უზრუნველყოფა	7,00	7,00	7,00	7,00
05 03 15	შიდა ქართლის რეგიონის ინოვაციების ბანაკი	5,0	5,0	5,0	5,0
05 03 16	შიდა ქართლის მოყვარულ ფეხბურთელთა ჩემპიონატი „ქართლის ლიგა – 2026“	5,0	5,0	5,0	5,0
05 03 17	შიდა ქართლის პირველობა კალათბურთში	3,0	3,0	3,0	3,0
05 03 18	შიდა ქართლის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში	5,0	5,0	5,0	5,0
05 03 19	სხვა ინიციატივები	24,67	24,67	24,67	24,67
	სულ	137,0	137,0	137,0	137,0
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებებში ჩართული მეტი ახალგაზრდა და მხარდაჭერილი ინიციატივები.				

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ათასი ლარი

		2026 წ	2027 წ	2028 წ	2029 წ
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 619,63	1 615,00	1 629,00	1 653,00
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	338,20	350,00	364,00	388,00



06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1 281.43	1 265.00	1 265.00	1 265.00
06 02 01	გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა	100,00	100,00	100,00	100,00
06 02 02	მოსახლეობის მკურნალობა	730,00	730,00	730,00	730,00
06 02 03	მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება	90,00	90,00	90,00	90,00
06 02 04	ცელიაკით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება	60,00	60,00	60,00	60,00
06 02 05	სტუდენტების სოციალური დახმარება	40,00	40,00	40,00	40,00
06 02 06	შშმ პირების დახმარება	25,20	25,20	25,20	25,20
06 02 07	მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება	49.80	49.80	49.80	49.80
06 02 09	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ ვეტერანების დახმარება	6,50	6,50	6,50	6,50
06 02 10	100 წელს გადაცილებულ უზუცესთა დახმარება	3,00	3,00	3,00	3,00
06 02 11	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება	8,00	8,00	8,00	8,00
06 02 12	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება	10,50	10,50	10,50	10,50
06 02 13	ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება	2,00	2,00	2,00	2,00
06 02 14	სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება	60,00	60,00	60,00	60,00
06 02 15	ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება	20,00	20,00	20,00	20,00
06 02 17	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	7,00	7,00	7,00	7,00
06 02 18	ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა	18,00	18,00	18,00	18,00
06 02 19	უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი და სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ფულადი დახმარება	15,00	15,00	15,00	15,00
06 02 20	შშმ პირთა დახმარება პერსონალური ასისტენტის საშუალებით	36,43	20,00	20,00	20,00

ათასი ლარი

პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება		კოდი	06 01
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	338,20			
პროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ "ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"			
პროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
	აღნიშნული პროგრამა არის კანონმდებლობით გათვალისწინებული დელეგირებული ფუნქცია, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა მიზნობრივი ტრანსფერი. პროგრამა მოიცავს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვებას და წარდგენას დკსჯე პრევენციული ღონისძიებების			



აღწერა და მიზანი	<p>განხორციელების ხელშეწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელებას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენასა და პროფილაქტიკას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიამხედველობას, პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, მუდმივი და დროებითი წყალსატევების რაოდენობა პასპორტიზაცია და ენტომოლოგიური ზედამხედველობის რეგულარული განხორციელება, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას და შერჩევითი კონტროლის განხორციელებას. სანიტარიულ ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და “C” ჰეპატიტის მართვის, სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას,</p> <p>და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით.</p>
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი	ჯანმრთელი მოსახლეობა, თავიდან აცილებული სხვადასხვა დაავადებები და ეპიდემიები.

ათასი ლარი

პროგრამის დასახელება:	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	კოდი	06 02		
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	1281.43				
პროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური. ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური				
პროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას		არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -		არა
აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, სხვადასხვა ფენებისათვის, გარკვეული დახმარებებით უზრუნველყოფა, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის როგორც ჯანმრთელობის, ასევე სოციალურ მდგომარეობას. მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 პროგრამა.</p> <p>პროგრამის მიზანია: მოსახლეობის დახმარება მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებით.</p>				
კოდი	ქვეპროგრამა	2026 წ	2027 წ	2028 წ	2029 წ
06 02 01	გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა	100,00	100,00	100,00	100,00
06 02 02	მოსახლეობის მკურნალობა	730,00	730,00	730,00	730,00
06 02 03	მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება	90,00	90,00	90,00	90,00
06 02 04	ცელიაკით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება	60,00	60,00	60,00	60,00
06 02 05	სტუდენტების სოციალური დახმარება	40,00	40,00	40,00	40,00
06 02 06	შშმ პირების დახმარება	25,20	25,20	25,20	25,20
06 02 07	მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება	49,80	49,80	49,80	49,80
06 02 09	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ ვეტერანების დახმარება	6,50	6,50	6,50	6,50
06 02 10	100 წელს გადაცილებულ უზუცესთა დახმარება	3,00	3,00	3,00	3,00
06 02 11	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება	8,00	8,00	8,00	8,00
06 02 12	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება	10,50	10,50	10,50	10,50



06 02 13	ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება	2,00	2,00	2,00	2,00
06 02 14	სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება	60,00	60,00	60,00	60,00
06 02 15	ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება	20,00	20,00	20,00	20,00
06 02 17	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	7,00	7,00	7,00	7,00
06 02 18	ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა	18,00	18,00	18,00	18,00
06 02 19	უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი და სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ფულადი დახმარება	15,00	15,00	15,00	15,00
06 02 20	შშმ პირთა დახმარება პერსონალური ასისტენტის საშუალებით	36.43	20,00	20,00	20,00
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.				

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა			კოდი	06 02 01
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	100.0				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური				
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა	
აღწერა და მიზანი	უფასო სასაბუღალტრო კვების პროგრამით ისარგებლებს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო ოჯახების 90 ბენეფიციარი, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ქულას. მიზანია: გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა.				
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დღეში ერთხელ კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები.				

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	მოსახლეობის მკურნალობა			კოდი	06 02 02
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	730.00				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური				
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები	არა	



აღწერა და მიზანი	<p>საქართველოში მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სხვადასხვა სახისა და მოცულობის, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პროგრამები. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი</p> <p>ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ რომელიც ძალაშია 2013 წლის 28 თებერვლიდან, მოიცავს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, სადაც დეტალურად გაწერილია ყველა სერვისი, რომელსაც ანაზღაურებს სახელმწიფო. აღნიშნული დადგენილების მოქმედების სფეროში ვერ ხვდება ზოგიერთი დაავადების მკურნალობის ღირებულების სრული ანაზღაურება, რაც დღეის მდგომარეობით, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი გარკვეული ნაწილისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთია. აქედან გამომდინარე, ქარელის მუნიციპალიტეტში დამუშავდა მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მკურნალობის, ოპერაციის, ან გამოკვლევის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილის თანადაფინანსებას 40%-ით, მაგრამ არა უმეტეს 2000 ლარისა, წლის განმავლობაში ერთჯერადად. პროგრამით არ დაფინანსდება კოსმეტიკური პროცედურები (გარდა ფაკიური ლინზის გადანერგვისა; რეფრაქციული ანომალიის კორექციისა ექსიმერული ლაზერით – LASIK მეთოდით) და ექიმის ჰონორარი. იმ კარდიოლოგიურ მომსახურებაზე, რომელიც ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების ფარგლებში, თანადაფინანსება მოხდება სახელმწიფოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის მიხედვით აუნაზღაურებელი ნაწილის 40% – ით თუ მკურნალობის, კვლევის ან ოპერაციის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილი არ აღემატება 300 ლარს, დაფინანსება განხორციელდება 100%-ით, ხოლო თუ თანხა აღემატება 300 ლარს, 300 ლარს ემატება 300 ლარს ზემოთ დარჩენილი თანხის 40 %-ი, წლის განმავლობაში ერთჯერადად. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა სარეიტინგო ქულაა 0 – დან 150 000 ქულის ჩათვლით. 2025 წლის დეკემბრის თვეში გაცემული მკურნალობის დაფინანსების საგარანტიო წერილების მიხედვით ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში.</p> <p>მიზანია: მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p>
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უფრო მეტად ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება.

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება		კოდი 06 02 03
დაფინანსება და ვადები	2026 წელი		
	90,00		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური		
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას-არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -არა
აღწერა და მიზანი	<p>მრავალშვილიან ოჯახებში, ახალშობილთა დახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებს იმ ოჯახებისერთჯერად ფინანსურ დახმარებას, რომელთაც ოჯახებში შეეძინათ მესამე და ყოველი მომდევნო შვილი.</p> <p>ქვეპროგრამის მიხედვით, ოჯახს გაეწევა შემდეგი დახმარება: მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში 600 ლარი. მეოთხე შვილის დაბადების შემთხვევაში 800 ლარი. მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში 1000 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 1000 ლარზე 200-200 ლარის დამატებით.</p> <p>ტყუპების შემთხვევაში ინდივიდუალურად, რიგითობის გათვალისწინებით.</p> <p>დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები). 2025 წლის დეკემბრის თვეში მრავალშვილიან ოჯახებში დაბადებულ ახალშობილთა დახმარება</p> <p>(ანაზღაურების გაცემა) შესაძლებელია 2026 წლის პირველ თებერვლამდე.</p> <p>მიზანია: ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დახმარება გაწეული მრავალშვილიანი ოჯახები.		



ქვეპროგრამის დასახელება:	ცელიაკით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება			კოდი	06 02 04
დაფინანსება და ვადები	2026 წელი				
	60.0				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური				
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა	
აღწერა და მიზანი	<p>ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული საკვებით კვება, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირებს უწყვეტ სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცედურის ჩატარება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში. აღნიშნული დაავადებები წარმოადგენენ ისეთი დაავადებების ნოზოლოგიას, რომელთაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული მკურნალობა.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ცელიაკით, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის საკვებით დახმარებას, წლის განმავლობაში თითოეულზე არა უმეტეს 2000 ლარისა, რომელიც საჭიროა შესაბამისი სახეობის საკვების შესაძენად, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირთათვის, ფინანსურ დახმარებას-წელიწადში ერთჯერადად 1200 ლარის ოდენობით – გადაადგილებისათვის. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები).</p> <p>მიზანია: ცელიაკით, ფენილკეტონურიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება.</p>				
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დახმარებაგაწეული ბენეფიციარები.				

ქვეპროგრამის დასახელება:	სტუდენტების სოციალური დახმარება			კოდი
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	40.0			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	
აღწერა და მიზანი	<p>აღწერა და მიზანი: დახმარებას მიიღებენ: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული სტუდენტები, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, პირველი ჯგუფის</p> <p>შშმ პირთა სტუდენტი შვილები, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტი შვილები, ასევე სოციალურად დაუცელი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 50 000-მდე ქულის ჩათვლით) პირები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში რეგისტრირებულ აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში</p> <p>(კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელში.</p> <p>ბაკალავრიატი, რეზიდენტურა, ან მაგისტრატურა).</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებზე წლიურად სწავლის გადასახადის ერთჯერადად დაფინანსებას არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.</p>			



მიზანია: მარჩენალდაკარგული, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის და სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების წლიურად ერთჯერადი დახმარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა.

ათასი ლარი

ქვეპროგრამის დასახელება:	შშმ პირების დახმარება		კოდი	06 02 06
დაფინანსება და ვადები	2026 წელი			
	25.20			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური			
ქვეპროგრამა წარმოადგენს	არსებულ პოლიტიკას -	კი	ახალ პოლიტიკას	არა
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი -	კი	სახელმწიფო ფონდები -	არა
